საქართველოს მთავრობის განკარგულება

N993 2016 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მის სარგებლობაში არსებული - ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა №3; ქ. თბილისში სულხან-საბას ქუჩა №1 და ქ. თბილისში გიორგი ლეონიძის ქუჩა №5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.15.05.066.007.01.529 და №01.15.05.066.022) შიდა აზომვითი ნახაზის (3D სკანერის აპარატის გამოყენებით ან/და არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური საინჟინრო ქსელები მათი სიღრმეების, დასახელებისა და (X, Y და Z) კოორდინატების ჩვენებით)

შემუშავების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი: 32 05 02 02 01).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**